მაია გელაშვილი, ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: Maiagel99@gmail.com

შრომითი მიგრაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

შესავალი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, მსოფლიოში მიგრანტი მოსახლეობის 59% შრომითი მიგრანტია[1]. მიგრაცია ეს ის თემაა რომელსაც აშუქებს მთელი მსოფლიო შემოსული მიგრანტებსა და ადგილობრივი მუშაკების როგორც არსებულ ხელფასებს შორის სხვაობას(თუმცა დაბალანაზღაურებას ძირითადად დაბალი კვალიფიკაცია განსაზღვრავს) ასევე მათ უფლებების დაცვას. აქ კი თავს იჩენს მიგრანტთა კონკურენცია. ეს ფაქტორი დამსაქმებლებისთვისაც მოგებიანია იმ თვალსაზრისით რომ არალეგალურად მომუშავე მიგრანტებთან დაბალ ანაზღაურებას იხდიან იმ სამუშაოს შესრულებაში, რაზეც ადგილობრივი მუშახელი არ თანხმდება, შედეგი კი დგება სისტემური ექსპლოატაცია მიგრანტების მიმართ. ვინაიდან გლობალიზაციამ უხილავი გახადა ქვეყნებს შორის საზღვრები შესაბამისად, განათლების და დასაქმების ბაზარიც გლობალურია და განათლების ან შრომის არჩევანის გაკეთება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში აღარ უწევთ მოსახლეობას. შრომითი მიგრაცია ქვეყნებს შორის დასაქმების მიზნით ხალხთა გადაადგილებას წარმოადგენს, რომლის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური მიმართულებისაა, რომელიც შეიძლება იყოს მუდმივი, სეზონური ან დროებითი. მიგრაციისთვის თამნდევია ორმხრივი გავლენა როგორც დადებითი ასევე, უარყოფითი. უარყოფითია ის ფაქტი, როცა განვითარებადი ქვეყნები რისკის წინაშე დგება იმის გამო, რომ იზრდება მოთხოვნა საქონელზე და სერვისებზე, თუმცა კარგად მართულ მიგრაციას შეუძლია მიიღოს სოციალურად და კულტურულად პროდუქტიული გამოცდილება. მეორე პრობლემად კი საზოგადოებაზე უარყოფითი ზემოქმედებაა, ვინაიდან ხდება

[1] https://migrationdataportal.org/themes/labour-migration.

მოსახლეობის რაოდენობის შემცირება რომლის შედეგი ადგილობრივი ეკონომიკისა და ბიზნესის შემცირების გამომწვევია. ვინაიდან, საზოგადოებას აკლდება პროდუქტიული წევრები, მცირდება საგადასახადო შემოსავლები. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მიგრანტი არალეგალურად შედის სხვა ქვეყანაში შესაძლებელია დეპორტით უკან გამოუშვან, რაც უფრო მძიმე ტვირთად აწვებათ ისედაც შეჭირვებულ ოჯახებს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ გაუმართლად და სამუშაო დაიწყეს (ეს ხშირ შემთხვევაში არალეგალურად ხდება)მიგრანტები მოკლებულნი არიან ყველანაირ სამართლებრივ საფუძვლებს.

კვლევის მიზანია შრომითი მიგრაციის ფაქტორების შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში.

გამოყენებულია და შეფასებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ფორბსის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD), სხვადასხვა მკლევართა სამეცნიერო ნაშრომები, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და სხვა მეთოდები.

ძირითადი ნაწილი. შრომით მიგრაციას ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი თავისებურებებიც გააჩნიათ კერძოდ მიგრანტები იძენენ ახალ სამუშაო გამოცდილებას და შესაბამისად ახალ უნარებსაც გარდა ამისა ფულადი გზავნილების სახით გზავნიან კაპიტალს, რომლითაც ეხმარება ოჯახს საჭირო ხარჯების დასაფარად და თავიდან აცილებს მძიმე სოციალურ ეკონომიკურ პრობლემებს. მართალია ფულადი გზავნილები მნიშვნელოვანია როგორც მიგრანტთა თითოეული ოჯახისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკის ეკონომიკის ზრდისთვის, მაგრამ ზუსტი პასუხი თუ რა რაოდენობის გზავნილებია და რა გავლენას ახდენს მიმღები ოჯახების კეთილ-დღეობაზე ეს კაპიტალი ასეთი მონაცებები არ არსებობს, მაგრამ არსებობს მიგრაციული სალდო. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით მსოფლიო მოსახლეობის 3,6% ანუ 281 მილიონი ადამიანი მიგრანტია[2]. საქსტატის მონაცემების მიხედვით ბოლო წლებში სალდო დადებით მაჩვენებლით

[2] International Organization for Migration-IOM 2021

ხასიათდება[3]. კერძოდ, ემიგრანტთა რიცხვი 2020 წელს შემცირებულია 29,3%-ით ანუ 74,264 ადამიანით წინა 2019 წელთან შედარებით, მაგრამ მიგრაცია გარკვეულწილად ზოგჯერ საჭიროა გზავნილების შემოდინების, გამოცდილების გაზიარების, ტექნოლოგიების სწავლით, თუმცა უარყოფითია კვალიფიციური კადრის გადინების თვალსაზრისით ვინაიდან ადამიანური კაპიტალის გადინება ხელს უწყობს სხვა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. 2019-2021 წლებში მიგრანტების მიერ საქართველოში უცხოეთიდან შემოსულია 149,75 მლნი ლარი, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება (იხ.დიაგრამაN1)

დიაგრამა N1 ფულადი გზავნილები



წყარო: საქსტატი 2021 წელი

აღნიშნული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე, მიგრანტთა ფულადმა გზავნილებმა 2021 წელს 149,75 მლნ. დოლარი შეადგინა, რაც გასული 2020 წლის პერიოდის მონაცემებთან შედარებით 24,1 მლნ.ლარით მეტია, ეს კი პოზიტიური შედეგია ქვეყანაში დარჩენილი ოჯახებისთვის. კერძოდ მცირდება სიღარიბე, შედეგად იზრდება ცხოვრების დონე. თუმცა დადებით ეფექტთან ერთად მიგრანტების უარყოფითი შედეგია, როცა დამსაქმებლები ხშირად არაფორმალურად მომუშავე მიგრანტებს სთავაზობენ დაბალ ანაზრაურებას და უწევენ ექსპლოატაციას შედეგად

[3] საქსტატი 2020

შემოსავლების ლოდინში მიგრანტები შესაძლებელია როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ყველაზე საშიში კი მათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გართულებული რეინტეგრაცია ხვდებათ.

მიგრანტებით შევსებული შრომის ბაზარი როგორც ავღნიშნე ბიზნესის განვითარებისა და საგადასახადო შემოსავლების ზრდის წინაპირობაა, ხოლო ფინანსური თვალსაზრისით მიგრანტთა შემოსავლების ზრდა მნიშვნელოვანია აქტივების დაგროვებისა და ინვესტიციების განხორციელებაში. მართალია, მიგრანტების სურვილად მიჩნეულია მაღალი ანაზრაურების მიღება, მაგრამ არაკვალიფიციურ კადრთა კატეგორიას განეკუთვნებიან. თუმცა აღანიშნავია ისიც, რომ შრომით მიგრანტთა უმრავლესობა გააჩნია უმაღლესი განათლება. ვფიქრობ, სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ადამიანური რესურსების განვითარებას განსაკუთრებით სხვადასხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით, სადაც შესაძლებელი იქნება შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის და ანალიზის შესწავლა. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს ლეგალურად შესწავლილი იქნეს სამუშაო ძალა.

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილების როლი(იხ.დიაგრამა N2) ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტის ზრდაში. თუმცა ეს

დიაგრამა N2 ფულადი გზავნილების წლიური ზრდის ტემპი



წყარო: საქსტატი 2021 წელი

გზავნილები იხარჯება შინამეურნეობების მოხმარებაზე და არაა ეკონომიკურ ზრდაზე. მთლიანი შიდა პროდუქტისა და ფულადი ნაკადების მოძრაობას კარგად ასახავს წარმოდგენილი დიაგრამა N2. ამ ორი მაჩვენებლის მტკიცებულებაა კორელაციური კავშირი. კერძოდ. 2021 წელს გაიზარდა ფულადი გზავნილი 1%-ით წინა წელთან შედარებით ამავე პროცენტული მაჩვენებლით იზრდება მშპ. იგივე პროპორციით იზრდება წინა წლებშიც ორივე მაჩვენებელი. ჩემი აზრით, მიგრაცია არა მარტო სიღარიბის დონის შემცირებას არამედ ხელს უწყობს როგორც ფულადი გზავნილების ასევე ეკონომიკურ ზრდასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგრაციის თანმდევია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მდგომარეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უარყოფითი ფაქტორი, როცა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად მილევად რეჟიმში მიდის და სწორედ აქ არის გამოკვლევათა კონცეფცია შესამუშავებელი. ყველა ხელისუფალი ერთმანეთზე გადაბრალებით დროს ფუჭად ხარჯავს და ვერ პასუხობენ კითხვას რატომ ტოვებს ქვეყანას მასობრივად მოსახლეობა, რატომ არ ხდება სამუშაო ადგილების მატება, არა და მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება საზოგადოებრივ შემოსავალსაც ხომ ამცირებს. მართალია უმჯობესდება მიგრანტთა ოჯახების სოციალ-ეკონომიკური პირობები და ხდება კულტურული ზრდა, მაგრამ რთულია მიგრანტებისთვის და ოჯახის წევრებისთვისაც მოშორებით მარტოობის განცდა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრაციის განსაზღვრულ ჩარჩოში მოქცევა ძნელია, ვინაიდან ის კომპლექსური მოვლენაა. პირველი მნიშვნელოვანი პრობლემა მიგრანტთა ოჯახების დამოკიდებულებაა მოსალოდნელ შემოსავალზე, მეორე დემოგარფიული მდგომარეობაა, მესამე დონორი ქვეყნების აღმავლობა, მეოთხე ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების შემცირება და ა.შ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ქვეყანაში ამ მიმართულებით უნდა დამთავრდეს სპეკულაცია და მოხდეს კომპლექსური კვლევა, რათა მიგრანტთა მასშტაბი მომავალშიც არ გაიზარდოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი კ. ცირკულარული შრომითი მიგრაციის ახალი შესაძლებლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თბ,. 2019
2. ტუხარაშვილი მ.,ჭელიძე ნ,. შრომითი მიგრაცია თბ.,2019
3. ჯანგულაძე გ.,სამუშაო ძალის მიგრაცია და მისი მაკროეკონომიკური შედეგები თბ., 2019
4. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიურო
5. მიგრაციის გაშუქება. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) ვენა, ავსტრია 2021
6. Michaella Vanore, M.S The Evolution of Gendered Migration Trajectories from Georgia, comparative Migration Studies 2015
7. www. Eudict.com

Maia Gelashvili, Associated Professor

LEPL Samtskhe-Javakheti State University,

The Faculty of a Business Administration

e-mail: Maiagel99@gmail.com

The Labor Migration Impact on the Economics of Georgia

An abstract.

The relevance of labor migration has increased significantly both worldwide and in Georgia. However, migration can be said to be inevitable for developing countries. 3.6% of the world's population or 281 million people are migrants. The main reason is economic. Migration is characterized by both positive and negative consequences. Remittances characterize positively, which are a prerequisite not only for reducing poverty, but also for stimulating GDP growth. The negative is characterized by a quantitative decrease in the population, which

entails a decrease in income to the country's budget. In 2019-2021 in Georgia, 149.75 million lari was received from abroad in the form of remittances from migrants, although these remittances are spent on household consumption, which has a positive effect on families remaining in the country as poverty decreases, which leads to an increase in living standards. In particular, remittances increased by 1% in 2021 compared to coronavirus

Thus, it can be concluded that the economic benefits of migration lie in the diversification of currency crises in the country. I believe that all Georgian migrants should return to the country, but this problem cannot be solved until jobs are created, because they want to return. Thanks to these problems, the population can further increase the scale of migrants in order to improve their socio-economic situation.

Keywords: Migration, Reintegration, Diversification, Liquidity, Correlation, Legal